

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის  
ოქმი N28

ქ.თბილისი

21 ივლისი, 2023 წელი  
14<sup>00</sup>საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: ზურაბ აბაშიძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: თინათინ ნიბლოშვილი

საკრებულოს წევრები:

ლევან აბაშიძე	აკაკი ალადაშვილი
ლევან არველაძე	ვლადიმერ ბოჭაძე
საბა ბუაძე	ანა გოგოლაძე
არჩილ გორდულაძე	მამუკა გუგუშაშვილი
ლევან დავითაშვილი	კონსტანტინე ზარნაძე
მარიამ ზაქარიაშვილი	ანა კაკაბაძე
მიხეილ კაკაურიძე	ნიკოლოზ კახეთელიძე
ნინო კვიციანიშვილი	სალომე კობალაძე
ცოტნე კობერიძე	კახაბერ ლაბუჩიძე
ლილე ლიპარტელიანი	ირაკლი ნადირაძე
შალვა ოგბაიძე	გიორგი ონიანი
გურამ ოქროპირიძე	ლევან ჟორჟოლიანი
ნინო რუხაძე	რევაზ სოხაძე
ვახტანგ სურგულაძე	დავით ფარცვანია
გიორგი შარაშიძე	ზურაბ ჩიკვილაძე
გივი ჩხარტიშვილი	ავთანდილ ცინცაძე
ნინო წულაძე	ირაკლი ხელაძე
ალექსანდრე ხუჯაძე	ლევან ჯაფარიძე

საკრებულოს სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილეები: ნინო ბაგაშვილი და ოთარ ჩიტიძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელი მარიამ კვერნაძე.

საკრებულოს სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე განცხადებები გააკეთეს საკრებულოს წევრებმა.

გიორგი ონიანმა მიმართა საკრებულოს წევრებს, წუთიერი დუმილით პატივი მიეგოთ წყნეთში, ტრაგიკულად გარდაცვლილი დათუნა ჟღენტის ხსოვნისთვის, რის შემდეგაც სხდომაზე დამსწრე საზოგადოებამ წუთიერი დუმილით პატივი მიაგო მის ხსოვნას.

ნინო წულაძემ განაცხადა, რომ რამდენიმე დღის წინ დანიური გამოცემა „სოლიდარობა“ წერდა თბილისის მერიაში სავარაუდო კორუფციული გარიგებების შესახებ, რომელიც უკავშირდება 2021 წელს 12 მეტრიანი ავტობუსების შეძენას, რაშიც დაახლოებით 60000000 ლარით მეტი დაიხარჯა, ვიდრე საერთაშორისო ქვეყნებში იყო ამ ავტობუსების ღირებულება. აღნიშნული გამოცემა აქვე, სვამს კითხვებს მერიის სამსახურთან, რომლისგანაც პასუხს ვერ იღებს და აპირებს მიმართოს იბიარდს, რომლის დაფინანსებითაც მოხდა ხსენებული ავტობუსების შეძენა, რადგან მნიშვნელოვანია, რომ პასუხი გაეცეს საზოგადოებაში გამჭვირვალობასთან დაკავშირებით გაჩენილ კითხვებს. მისი თქმით, ეს არის ერთი ფაქტი, თუმცა, თბილისის მერიის და მის დაქვემდებარებაში მყოფი ორგანოების მიერ განხორციელებულ ტენდერებში, ინტერესთა გამოხატვებში და სხვადასხვა პროცესებში სავარაუდო კორუფციასთან დაკავშირებით, ხშირად ჩნდება კითხვები და ამიტომ საკრებულოს წევრებთან აქვს შეთავაზება. კერძოდ, პარტიამ „ანა დოლიძე - ხალხისთვის“ აპრილში დაარეგისტრირა საკანონმდებლო წინადადება დამოუკიდებელი აუდიტორის მოწვევასთან დაკავშირებით, რომელიც შეამოწმებს თვითმმართველობის ორგანოების მუშაობის პროცესს და ჩაატარებს დამოუკიდებელ აუდიტს, თუმცა, აღნიშნული ინიციატივა დღემდე პასუხგაუცემელია და აქედან გამომდინარე, მოუწოდებს საკრებულოს, როგორც ოპოზიციის, ასევე, უმრავლესობის წევრებს, რომ დამოუკიდებელ ექსპერტს მიანდონ იმ საკითხების შესწავლა და გამოკვლევა, რომლებთან დაკავშირებითაც არსებობს კითხვის ნიშნები და იმ მონაცემებზე დაყრდნობით გააკეთონ დასკვნები. განაცხადა, რომ აღნიშნული შეთავაზება გამომდინარეობს იქიდან, რომ სამომავლო მუშაობის გაგრძელებისთვის, საჭიროა გვექონდეს ზუსტი პასუხი იმაზე, ევროკავშირის სახსრებიც ისეთივე კითხვის ნიშნებით იხარჯება თუ არა, როგორც, სამწუხაროდ, ამდენი წელია იხარჯებოდა ხალხის ფული თბილისის მერიაში. ნინო წულაძემ ასევე, ისაუბრა წყნეთში მომხდარ ტრაგედიაზე, საკრებულოს წევრებს შეახსენა უსაფრთხოების აუდიტის შესახებ დარეგისტრირებული წინადადება, რომელიც ვაკის პარკში მომხდარი ტრაგედიის შემდეგ გადაუგზავნა როგორც საკრებულოს წევრებს, ასევე, მერის სამსახურებს და განაცხადა, რომ სწორედ ხსენებულ ინიციატივაში მითითებული ჩამკეტი ალტერნატიული მექანიზმებით შევძლებთ ასეთი ტრაგედიების თავიდან აცილებას, თუმცა, ამ წინადადებაზე პასუხი არც მერიისგან და საკრებულოსგან არ მიუღია. საუბრის ბოლოს, ნინო წულაძემ აღნიშნა, რომ საკრებულოში დაარეგისტრირა წინადადება, თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის ცნობილი მეცნიერის, ისტორიკოსის, გოჩა ჯაფარიძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით და მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს და სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიას: „განვიხილოთ ეს საკითხი, რადგან ნამდვილად ღვაწლმოსილი მეცნიერი იყო ბატონი გოჩა და ერთ-ერთ ქუჩას თბილისში მივანიჭოთ მისი სახელი“.

გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, რომ ამ დღეების განმავლობაში, ყველამ ძალიან კარგად ვნახეთ, თუ როგორი რესურსი იხარჯება იმისთვის, რომ მოხდეს ქვეყნის დისკრედიტაცია სხვადასხვა მიმართულებებით და უმჯობესი იქნება საკრებულოს წევრებმა არ იჩქარონ დასკვნების და კომენტარების გაკეთება ზემოთ ხსენებული გამოცემის სტატიასთან დაკავშირებით, რადგან, დარწმუნებულია, რომ ამ შემთხვევაშიც გამოჩნდება გარკვეული წყაროები. ამასთანავე, მასში აბსოლუტურად სხვა შინაარსია და აქედან გამომდინარე, ფიქრობს, რომ არასერიოზულია იმაზე პასუხის გაცემა და საუბარი, თუ რას წერს ერთ-ერთი გამოცემა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე

2. „ქალაქ თბილისში, ჰოსპიტლის შესახვევი N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.023.049) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

3. „ქალაქ თბილისში, ჰოსპიტლის შესახვევი N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.023.049) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

4. „ქალაქ თბილისში, ნუშის ქუჩის მე-2 ჩიხი N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.17.006.009.01.510) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

5. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, მე-3 მასივის მე-8 კვარტლის კორპუსი N4-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.025.065.04.012) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

6. „ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩა N173-ში, კორპუს N6-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.09.001.020.01.054) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

7. „ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის ქუჩა N49ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.33.015.015.01.010) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

8. „ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩა N173-ში, კორპუს N6-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.09.001.020) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

9. „ქალაქ თბილისში, გლდანის III მიკრო რაიონის მიმდებარედ N01.11.12.006.301 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 16056 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამონატვაში გამარჯვებული პირის - შპს „არტე დეველოპმენტისთვის“ (ს/წ. 404606690),

კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

10. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განსაზღვრული მოძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ. 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

11. „ქ.თბილისში, მერაბ კოსტავას ქუჩაზე N76-ის მიმდებარედ არსებული 15 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.028.058) პირდაპირი განკარგვის წესით იაჭრიკიშვილისთვის (პ/ნ. 01004000565) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

12. „ქ.თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N34-38-ის მიმდებარედ არსებული 1933 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.10.15.018.078) 29 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ვაჟა-ფშაველას N34-ისთვის“ (ს/ნ: 405541962) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

13. „ქ.თბილისში, რუსთავის გზატკეცილი N199-ის მიმდებარედ არსებული 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.12.006.089) პირდაპირი განკარგვის წესით ი/მ ქსენია ჯელაძისთვის (პ/ნ: 57001013643) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

14. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „ენსი გრუპს“ (ს/კ. 405186365) შორის 2021 წლის 15 ივლისს გაფორმებული „ქ.თბილისში, დიდი დიდის დასახლების მიმდებარედ არსებული, ჯამურად 8118 კვ.მ. ფართობის, N01.10.06.002.064 და N01.10.06.002.065 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების (წინა საკადასტრო კოდი: ს/კ. N01.10.06.002.046) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან შპს „ენსი გრუპის“ (ს/კ. 405186365) გათავისუფლების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

15. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „მს ბილდერს“ (ს/ნ. 405427765) შორის 2022 წლის 31 მარტს გაფორმებული „ქ.თბილისში, ვაზისუბნის დასახლება, კვაჭანტირაძის ქუჩის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.17.10.001.186 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 2371 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულების საფუძველზე დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „მს ბილდერის“ (ს/ნ: 405427765) გათავისუფლების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

16. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ომარ ლომსაძეს (პ/ნ. 01006005032) შორის 2022 წლის 02 ნოემბერს გაფორმებული №-679-24-28290 და №-679-25-28291 პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობების გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

17. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს მიერ პირობებით გამოცხადებული აუქციონის შედეგად 2018 წლის 18 ოქტომბერს გაფორმებული №-428-3-22738 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

18. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შპს „ორთაჭალა გეითისთვის“ (ს/კ. 2405536978) მისამართზე - ქალაქი თბილისი, ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ. მტკვარს შორის მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.14.003.187, ფართობი - 11888 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

19. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შპს „იბერკომპანისთვის“ (ს/კ. 231963818) მისამართზე - ქალაქი თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N46-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.14.05.003.013, ფართობი - 8827 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

20. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, რკინიგზას ქუჩა N22-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.12.12.011.127, ფართობი - 4953 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

21. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, სოფელი დილომი, ერედვის ქუჩა N83-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.72.14.038.118, ფართობი - 1500 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

22. „ქ.თბილისში, ყიფშიძის ქ.20ა (ს.კ. 01.14.14.005.035) არსებული ავარიული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლების მიზნით შპს „ანაგი დეველოპმენტი 1“-ის (ს/ნ. 404567713) მიმართ ხელშეწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

23. „შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ. 204460957) და შპს „სონნეთ ქონსტრაქშენის“ (ს/ნ. 404870412) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან ყორჟოლიანი

24. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე  
თანამომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

25. „ქალაქ თბილისში, გლდანის III მკ.რ-ის მიმდებარედ არსებული, კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთა დაკმაყოფილების მიზნით მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილი მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.12.006.301) განაშენიანების რეგულირების გეგმის გარეშე სამშენებლო განვითარების დასაშვებობის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

26. „ქალაქ თბილისში, ჭრელაშვილის ქ. N4-ის მიმდებარედ, ქეთევან წამებულის გამზირის N65-ში არსებულ ნაკვეთებსა (ნაკვ. 038/017; 038/018) (საკადასტრო კოდები: N01.17.13.038.049; N01.17.13.038.040; N01.17.13.038.042) და მიმდებარე უფლებადაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 8 დეკემბრის N374 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებისა და „ქალაქ თბილისში, ქ.წამებულის N65-ში (ნაკვ. 038/017; 038/018); ქალაქ თბილისში, ჭრელაშვილის ქ. N4-ის მიმდებარედ არსებულ ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.17.13.038.040; N01.17.13.038.042; N01.17.13.038.049) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 თებერვლის N44 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

27. „ქალაქ თბილისში, გახოკიძის ქუჩა N79-ში; ქალაქ თბილისში, გახოკიძის ქუჩა N79-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N01.19.19.003.235; N01.19.19.003.237; N01.19.19.003.236; N01.19.19.003.238; N01.19.19.003.363) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

28. „ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი N9ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.17.12.003.204; N01.17.12.003.206) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

29. „ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს (ნაკვეთი 1/12), (ნაკვ. 01/010) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.17.003.002-ის ნაწილი; N01.10.18.005.062-ის ნაწილი) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

30. „ქალაქ თბილისში, სოფელ დილოში, „ჩალიპირებში“; ქალაქი თბილისი, სოფელი დილოში, ავთანდილის ქუჩა, N72, N70, N74-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო

კოდები: N01.72.14.032.816; N01.72.14.032.817; N01.72.14.032.888; N01.72.14.032.887; N01.72.14.032.889; N01.72.14.032.639; N01.72.14.032.502; N01.72.14.032.890; N01.72.14.032.261; N01.72.14.032.638; N01.72.14.032.448; N01.72.14.032.159; N01.72.14.032.161; N01.72.14.032.260; N01.72.14.032.503; N01.72.14.032.485) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 სექტემბრის N443 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

31. „ქ.თბილისში, გლდანი-ნამალადევის რაიონი, გლდანის I მ/რ-სა და მუხიანის I მ/რ-ს შორის არსებულ ტერიტორიაზე სავაჭრო, საოფისე, ავტოვაგზალი, საყოფაცხოვრებო და სხვა მომსახურების ობიექტების განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 4 თებერვლის N01/90 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

32. „ქ.თბილისში, დიდგორის რაიონში, სოფელ წავკისში შპს „ზევის“-ს საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე გარდაზნის რაიონის ქალაქთმშენებლობის, არქიტექტურის, მშენებლობისა და საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამსახურის მიერ 2006 წლის 19 ოქტომბრის შეთანხმებული საცხოვრებელი კომპლექსის „წავკისი ველის“ განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

33. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.05.009.122; N01.14.05.009.123) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 4 ნოემბრის N584 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

34. „ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.02.19.916; N81.02.19.639; N81.02.19.917; N81.02.00.333; N81.02.95.377; N81.02.97.939; N81.02.19.638) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 ნოემბრის N624 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

35. „ქალაქ თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილზე (ნაკ. N002/012) დიდი ლილოს საკრებულოს ტერიტორიაზე (ნაკ. N002/005) და კახეთის გზატკეცილი N112-ის მიმდებარედ (ნაკ. N002/010) სავაჭრო კომპლექსის დასაპროექტებლად განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 25 ივლისის N01/1991 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

36. „ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, ნაკვეთი N8, თელეების მიწაზე; ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, იოსებ კეჭაყმაძის V შესახვევში, N23, N15, N19; ქალაქ თბილისში, ავთო ვარაზის I შესახვევში, N14, N14, N19-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N72.16.23.675; N72.16.23.674; N72.16.15.810; N72.16.23.093; N72.16.15.747; N72.16.23.094; N72.16.15.698; N72.16.15.795; N72.16.15.780; N72.16.23.677; N72.16.23.676; N72.16.23.678) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

37. „ქალაქ თბილისში, სოფელი ლისი, სოფელი ქვემო ლისი; ქალაქი თბილისი, სოფელი ლისი, ვარდის წყაროში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N72.16.17.231; N72.16.17.234; N72.16.17.804; N72.16.17.866; N72.16.17.872; N72.16.17.240; N72.16.17.245; N72.16.17.826; N72.16.17.864) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

38. „ქალაქ თბილისში, ნოდარ ბოხუას ქუჩა N1; N3ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.13.01.014.003; N01.13.01.014.053) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის, დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

39. „ქალაქ თბილისში, სოფელ დილომში, თელოვანში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.14.053.362; N01.72.14.053.745; N01.72.14.053.744; N01.72.14.053.190; N01.72.14.053.191; N01.72.14.053.739; N01.72.14.053.110; N01.72.14.053.724; N01.72.14.003.885; N01.72.14.053.951-ის ნაწილი) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური და სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

40. „ქალაქ თბილისში, თვალჭრელიძის ქუჩა N2, N6-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.19.009.078) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“.

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.



1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალავაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებებით ბიუჯეტის საერთო მოცულობა იზრდება 20552000 ლარით და ასევე, ჯანდაცვის მიმართულებით ჩნდება ახალი პროგრამა - ენდოპროთეზირების პროგრამა, რომლისთვისაც გამოყოფილია ნახევარი მილიონი ლარი და მისი განხორციელება დაიწყება სექტემბრიდან.

ანა კაკაბაძემ მადლობა გადაუხადა იმ სამსახურებს, რომლებიც მუშაობდნენ ენდოპროთეზირების პროგრამის შექმნაზე, მათ შორის, საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიას, რომლის უშუალო ჩართულობითაც ხდებოდა ამ პროგრამის შემუშავება და აღნიშნა, რომ თბილისის მერმა ჯერ კიდევ წინასაარჩევნოდ დააანონსა, რომ დაფინანსდებოდა კოქსარტროზის ოპერაციები და ეს დაპირება დღეს უკვე რეალობად იქცა და თბილისის მერია უზრუნველყოფს ყველა იმ ადამიანის დაფინანსებას, ვისაც სჭირდება ხსენებული ოპერაცია. ამასთანავე, აღსანიშნავია ისიც, რომ თუ ადრე აღნიშნული პრობლემა აწუხებდათ 50-60 წლის და მეტი ასაკის ადამიანებს, დღეს უკვე ძალიან ხშირია ამ ოპერაციის საჭიროება 30-35 წლის ადამიანებში და მნიშვნელოვანია, რომ თბილისის მერია დააფინანსებს ისეთი სახის ოპერაციებს, რომლებიც არ ფინანსდება არცერთი სახელმწიფო უწყების მიერ.

გიორგი ონიანმა აღნიშნა, რომ, ძალიან მნიშვნელოვანია ენდოპროთეზირების პროგრამა, რომელიც, რა თქმა უნდა, გასაკეთებელი იყო. აქვე განაცხადა, რომ სურს მადლობა გადაუხადოს თბილისის მთავრობას ონკოლოგიური დაავადებების მქონე ბავშვებისთვის საზღვარგარეთ მკურნალობის ხარჯების ანაზღაურებისთვის. გიორგი ონიანი, თბილისის ბიუჯეტის გაზრდასთან დაკავშირებით დაინტერესდა, თუ საიდან მოდის ეს ოცი მილიონი, მოდის თუ არა ეს თანხა ჩვენი მოქალაქეების მიერ გადახდილი ჯარიმებიდან და წინა წლებთან შედარებით რამდენით არის გაზრდილი ჯარიმები მიმდინარე წელს?

ლილე ლიპარტელიანმა გაიხსენა კახა კალაძის დაპირება, რომელიც ეხებოდა კომპანია „city park“-ის გასვლის შემდეგ, საპარკინგე ადგილების შექმნას და ასე ვთქვათ, „ადამიანების გათავისუფლებას „city park“-ის დაყაჩაღებისგან“ და განაცხადა, რომ დღეს, „city park“-ის მაგივრად, „მერია აყაჩაღებს ხალხს“ იმიტომ, რომ არ არის საპარკინგე ადგილები და ამასთანავე, გაზრდილია გადასახადები. აქედან გამომდინარე, დაინტერესდა, რა წილი აქვს ბიუჯეტში ჯარიმებიდან შესულ თანხას და რა პროგნოზია სამომავლოდ ამ მიმართულებით?

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, ხშირად არის იმაზე საუბარი, რომ კომპანია „city park“ „აყაჩაღებდა მოქალაქეებს“ და აქედან გამომდინარე, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ კომპანია, პირველ რიგში, არღვევდა ინფრასტრუქტურულ ვალდებულებებს და მასთან მორიგებით მუნიციპალიტეტმა თავიდან აირიდა სასამართლო პროცესები და არბიტრაჟები და ამასთანავე, იმ მორიგების სანაცვლოდ, კომპანიამ მუნიციპალიტეტს სრულად გადასცა მის ბალანსზე არსებული ტექნიკა. აქვე აღნიშნა, რომ კომპანია „city park“-ის გასვლის შემდეგ, საქართველოს პარლამენტმა გაზარდა ჯარიმები პარკინგზე და შესაბამისად, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ბიუჯეტში უფრო მეტი იქნება ამ მხრივ შემოსულობები. ლევან ჟორჟოლიანის თქმით, აღსანიშნავია ისიც, რომ კომპანია „city park“-ის მიერ გამოწერილი გასაჩივრებული აქტების 60% უქმდებოდა თბილისის მერიის მიერ, რაც იმას ნიშნავს, რომ კომპანია ორიენტირებული იყო მოგებაზე და ფინანსური ელემენტი უფრო მეტი იყო, ვიდრე საჯარო. ამასთანავე, დღეს, ჯარიმებიდან გადახდილი ფული მიდის არა რომელიმე შპს-ში, არამედ თბილისის ბიუჯეტში, რითიც ფინანსდება გარკვეული პროგრამები და აქედან გამომდინარე, „city park“-ის მიერ და თბილისის მერიის მიერ ჯარიმების გამოწერის შედარება და იმის თქმა, რომ ამით არაფერი შეცვლილა, არასწორია.

გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, რომ როდესაც მოქალაქე არღვევს პარკირების წესებს, ის აუცილებლად გადაიხდის ჯარიმას, თუმცა, განსხვავება ძალიან დიდია - გადახდილი თანხა მიდის არა „ვილაცის ჯიბეში“, არამედ თბილისის ბიუჯეტში, რომლითაც ფინანსდება სხვადასხვა პროექტები.

გურამ ოქროპირიძემ აღნიშნა, რომ ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტით, დაფინანსების ზრდა აისახება სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებით, კერძოდ, ეს არის 3700000 ლარი, რომელიც მოხმარდება რამდენიმე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას: სპორტული ღონისძიებების ნაწილში დაფინანსება გაიზრდება 1700000 ლარით, რომელიც მოხმარდება წარმატებული სპორტსმენების დაჯილდოვებას და ა(ა)იპ-ების ხელშეწყობას; ახალგაზრდული ღონისძიებების ნაწილში დამატებით გამოიყოფა 500000 ლარი; გლდან-ნამალადევის სპორტული კომპლექსის რეაბილიტაციისთვის გვექნება 1500000 ლარი, რითიც შევძლებთ დღეს არსებული საჭიროებების და გამოწვევების დაკმაყოფილებას.

გაიოზ თალაკვაძემ განმარტა, რომ გასული წლის ბიუჯეტში სანქციებიდან შესული თანხა იყო 80000000 ლარზე მეტი, რაც, რა თქმა უნდა, არ არის მხოლოდ კონკრეტული მიმართულებით გამოწერილი ჯარიმები, მასში გაერთიანებულია აბსოლუტურად ყველანაირი სანქციები, სადაც პარკირების ჯარიმები შეიძლება იყოს 5-7%. ხოლო მიმდინარე წელს, სავარაუდოდ იქნება 100000000 ლარი, რაც გამოწვეულია არა პარკირების ჯარიმებით, არამედ იმით, რომ გაზრდილია სამშენებლო და სხვა დიდი მოცულობის სანქციები.

ზურაბ ჩიკვილაძემ ისაუბრა ბიუჯეტში ახალი პროგრამის დამატებაზე და ძალიან დიდი მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც ჩართული იყო ამ პროგრამის შემუშავებაში, იმ სისტემური მიდგომისთვის, რაც არის ერთად დასახული ამოცანის მიღწევა. მან ასევე, მადლობა გადაუხადა მერიას, კახა კალაძეს და განსაკუთრებით საკრებულოს თავმჯდომარეს, რომლის უშუალო ჩართულობითაც მოხდა ამ პროცესისთვის „წერტილის დასმა“. ზურაბ ჩიკვილაძემ განაცხადა, რომ ამ პროგრამის არსებობა ძალიან ბევრ ჩვენ თანამოქალაქეს შეუშლავს უშუალო ფინანსურ მდგომარეობას, რადგან კოქსართროზის ოპერაცია არის ერთ-ერთი უძვირესი ოპერაცია, რომელსაც პირველი სექტემბრიდან დააფინანსებს თბილისის მერია.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ ენდოპროთეზირების პროგრამა, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროგრამაა, რომლითაც ისარგებლებს ძალიან ბევრი ადამიანი და მადლობა გადაუხადა საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიას, თბილისის მერიის შესაბამის სამსახურს და თითოეულ იმ ადამიანს, ვინც ჩართული იყო აღნიშნული პროგრამის შემუშავების პროცესში. გიორგი ტყემალაძემ აქვე აღნიშნა, რომ ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე არცერთი ბავშვი აღარ არის მომლოდინეთა რიგში და ყველა ბენეფიციარის - 2500 ბავშვის მომსახურება ფინანსურად უზრუნველყოფილი იქნება ბიუჯეტიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 3

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

2. „ქალაქ თბილისში, ჰოსპიტლის შესახვევი N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.023.049) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 90 კვ.მ. ფართის გადაცემა ორი პირისთვის.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

3. „ქალაქ თბილისში, ჰოსპიტლის შესახვევი N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.023.049) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 126 კვ.მ. ფართის გადაცემა ხუთი პირისთვის.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

4. „ქალაქ თბილისში, ნუშის ქუჩის მე-2 ჩიხი N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.17.006.009.01.510) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 98 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

5. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, მე-3 მასივის მე-8 კვარტლის კორპუსი N4-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.025.065.04.012) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 56 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

6. „ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩა N173-ში, კორპუს N6-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.09.001.020.01.054) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით

პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 65 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

7. „ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის ქუჩა N49ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.33.015.015.01.010) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 18.71 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

8. „ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩა N173-ში, კორპუს N6-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.09.001.020) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 260 კვ.მ. ფართის გადაცემა ოთხი პირისთვის.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

9. „ქალაქ თბილისში, გლდანის III მიკრო რაიონის მიმდებარედ N01.11.12.006.301 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 16056 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „არტე დეველოპმენტისთვის“ (ს/ნ. 404606690), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია ხელშეკრულების პროექტი კოოპერატიულ პროექტთან დაკავშირებით, რომლის ფარგლებშიც 16000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი განიკარგება გლდანის III მ/რ-ში და გათვალისწინებულია კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული 115 პირის დაკმაყოფილება საცხოვრებელი ფართით. აღსანიშნავია, რომ გამარჯვებული კომპანიის

შეთავაზება გაიზარდა დაახლოებით 3500 კვ.მ.-თი, რის შედეგადაც მუნიციპალიტეტისთვის გადასაცემი ფართი შეადგენს 8800 კვ.მ.-ს.

ანა გოგოლაძემ აღნიშნა, რომ მისი აზრით, წარმოდგენილი საკითხი ძალიან დელიკატურია იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით ვნახეთ გაეროს განვითარების პროგრამის და ორგანიზაცია „სენის“ 2020 წლის კვლევები, სადაც საუბარია კატასტროფული წყალმოვარდნების საფრთხეებზე თბილისში და შესწავლილია, მათ შორის, მდინარე ხევძმარის მომატებული რისკიანობა. საუბარია იმ შემთხვევაზე, თუ ამ ტერიტორიის მიმდებარედ გაგრძელდება გამწვანებული ტერიტორიის ჩეხვა ისევე, როგორც ინტენსიური მშენებლობები. იმის გათვალისწინებით, რომ კოლექტორი, რომელშიც მოქცეულია აღნიშნული მდინარე, არის დაზიანებული, ვერ ატარებს მოჭარბებულ წყალს და ხდება მიმდებარე ტერიტორიის დატბორვა, მშენებლობა არის ძალიან დიდი რისკის შემცველი და აქედან გამომდინარე, სანამ დაიწყება მსგავსი დიდი მასშტაბის მშენებლობა, საფრთხეები უნდა იქნას დეტალურად გაანალიზებული. ასევე, მნიშვნელოვანია, მოსახლეობას შევევითხოთ აზრი, რადგან, იმის გათვალისწინებით, რომ მოსახლეობის აზრს ვიკვლევთ ხოლმე მაგალითად ქუჩების სახელების დროს, სწორედ ადგილობრივი მოსახლეობის აზრის კვლევა არის პრიორიტეტული მაშინ, როდესაც ისეთ დასახლებაში, როგორც არის გლდანი, დიდი ხეობის მიმდებარედ ხდება ინტენსიური განაშენიანება. საუბრის ბოლოს, ანა გოგოლაძემ მიმართა საკრებულოს უმრავლესობას: „ვინაიდან „მწვანე შუქი აუნთეთ“ თქვენ აღნიშნულ პროექტს, ძალიან ფრთხილად მოვევიდოთ და სკრუპულოზურად გეოლოგიურ კვლევებს, ისევე, როგორც უსაფრთხოების საკითხებს და ვინაიდან საკითხი გატანილია პრინციპში, გთხოვთ, რომ დიდი ყურადღება მინც დაფუთვით კვლევის შედეგებს“.

ლილე ლიპარტელიანის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ თბილისის ქონების გასხვისება დელეგირებულია საჯარო უფლებამოსილებით, ისეთ საკითხებთან მიმართებაში, როგორებიცაა ძირითადი (განუსხვისებელი) ქონება, მათ შორის, წყალი, მდინარის კოლექტორი, წყალარინების ქსელები და ა.შ., არსებობს დადგენილებები, რომლებიც უნდა გაითვალისწინოს სააგენტომ და შესაბამისად, გასხვისებამდე უნდა შეისწავლოს ტერიტორია. სწორედ ამიტომ ითხოვს ოპოზიცია, რომ შეჩერდეს წარმოდგენილი პრივატიზების ხელშეკრულება და სხვა ადგილას მოხდეს კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული პირების დაკმაყოფილება. მისი თქმით, ეს ადამიანები 30-40 წელია ელოდებიან ბინებს და როდესაც მათ კოლექტორზე ვუშენებთ კორპუსს და ვაკმაყოფილებთ იმით, რომ საცხოვრებელ ბინებს ვაძლევთ გეოდინამიკურად საშიშ ზონაში, უნდა იცოდნენ, თუ რა ტერიტორიაზეა საუბარი, რა საფრთხეებს შეიცავს და ა.შ. ლილე ლიპარტელიანმა განაცხადა, რომ სააგენტოს, როგორც მუნიციპალური ქონების განმკარგველს, უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, შეისწავლოს ტერიტორია და ისე განკარგოს. მან კიდევ ერთხელ მიმართა საკრებულოს წევრებს, გადადონ აღნიშნული საკითხის განხილვა და დეტალურად შეისწავლონ, რადგან ის 8000 კვ.მ. ვერანაირ შემთხვევაში ვერ დაიკარგება და შესაძლებელია პირდაპირ განხორციელდეს მიწის ნაკვეთების ადგილმონაცვლეობა. საუბრის ბოლოს, აღნიშნა, რომ ინტერესთა გამოხატვის ეტაპზე საუბარი იყო 10 სართულზე, ხოლო ეხლა საუბარია 24 სართულის მშენებლობაზე ინტენსიურად განაშენიანებულ, ურბანული და სატრანსპორტო კუთხით გადატვირთულ ტერიტორიაზე, რომელზეც ვრცელდებოდა ზოგადი სარეკრეაციო ზონა და ამ უკანასკნელის გათვალისწინებით, იდეალური იქნება, რომ ხევძმარი გაიხსნას იმ ადგილას და ტერიტორია გამოყენებული იქნას პარკის მოსაწყობად.

კოსტანტინე ზარნაძემ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტს სურდა ამ ტერიტორიის გადაცემა „ტიტანიკით“ დაზარალებულებისთვის ანუ ავარიული „ტიტანიკის“ კორპუსი ჩაენაცვლებინა ახალი კორპუსით, თუმცა, შემდეგ მოიძებნა ალტერნატიული მიწა და აქედან გამომდინარე ეს ტერიტორია დატოვებული იქნა მუნიციპალიტეტისთვის. რაც შეეხება მოსახლეობასთან კომუნიკაციას, იქ რომ დევნილები ცხოვრობენ არაფერ შუაშია, რადგან დევნილებსა და ამ ტერიტორიას შორის არსებობს უზარმაზარი ბუნებრივი ბარიერი და ფაქტობრივად, ამ ტერიტორიასთან მისასვლელი გზაც კი არ აქვთ მათ და აქედან გამომდინარე, მისთვის

გაუგებარია, რატომ შეიძლება ეს მოსახლეობა დაზარალებულს კორპუსის აშენებით. განაცხადა, რომ პროცესი არის მიმდინარე, ამ ეტაპზე წარმოდგენილია პრივატიზება და შემდეგ, მშენებლობის ნაწილში, თუ გეოლოგიური დასკვნები ან რაიმე შეუშლის ხელს პროექტის განხორციელებას, მოხდება მიწის ნაკვეთის მონაცვლეობა. საუბრის ბოლოს აღნიშნა, რომ ხსენებული ტერიტორია არის მოუვლელი, ამასთანავე, მოსახლეობას არავინ დაპირებია იქ რეკრეაციული სივრცის მოწყობას და ფიქრობს, რომ ძალიან კარგი საქმე გაკეთდება კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული ოჯახების საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილებით.

ლილე ლიპარტელიანმა განმარტა, რომ საუბარია იმაზე, რომ დევნილ მოსახლეობას დაუდგება საცხოვრებლის საფრთხე, კერძოდ, როდესაც ამ ტერიტორიაზე დაიწყება მშენებლობა, საფრთხე შეექმნება იმ ავარიულ შენობას, სადაც ისინი არიან შესახლებული და შესაბამისად, მათ დაუდგებათ საცხოვრისის საფრთხე და სწორედ ამიტომ კეთდება აქცენტი დევნილ მოსახლეობაზე. მისი თქმით, ირგვლივ ცხოვრობენ არა მხოლოდ დევნილები, არამედ მიმდებარე ტერიტორია განაშენიანებულია მრავალბინიანი კორპუსებით და ერთი სარეკრეაციო სივრცის მოწყობა მუნიციპალიტეტის მხრიდან სავალდებულოც კი არის, იმის მიუხედავად, თუ რას დაპირდა მოსახლეობას კონკრეტულად ამ რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი ან ქალაქის მერი. აქვე განაცხადა, რომ დაპირებაზე არ არის საუბარი, ეს არის გენ.გეგმის კონცეფცია და სულისკვეთება, რომ გაიხსნას ის მდინარეები, რომლებიც თბილისს აკრავს გარს და მოეწყოს რეკრეაციული სივრცეები.

